გაზეთის ფასი:			
თვეზე	მან. კ.	თვეზე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაბარებლად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ: თფილისში რედაქციას, ახალ-ზემოთის ქუჩაზე, სახლი № 9, ზუბალოვის სახლში, ცენტრალურ და გრიგორიევის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1886 წელიწადი

ქართული თეატრი

ბენეფისი

მ. მ. საფაროვისა

კვირას, 26 იანვარს ქართული დრამატიულის დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

ბედნიერი დღე

კომედია 3 მოქმ. რუს. ნათარ. თ—შვილისა

II

2-რე და 3-მე სცენა ხუთ მოქმ. შექსპირის დრამიდამ

ჰამლეტი

III

პრიკაზჩიკის დუელი

ანუ

ქალი სამხედრო ტანისამოსში

ვოდევილი 1 მოქ., გადმოკ. ა. ა—სა

ფასი საბენეფისო

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ

(3—2)

ტფილისი, 25 იანვარს

ჩვენი საუბარი «შინა» და «შინაურობაზედ» ასე გრძლად იმიტომ გავაბით,*) რომ აგვენიშნა რა გვარს შინაურს საქმეებზედ მიუწვდება ხელი ლიტერატურას ისე, რომ ჩირქი არ მოიცხოს უმართებულობისა, უზრდელობისა, ძალმომრეობისა და მეტიჩარობისა. ჩვენ გვინდოდა გვეთქვა, რომ ივანესა და პეტრეს შინაური საქმე, იმათის საკუთარის კერის ვითარება, იმათი ვინაობა ცალკე—ლიტერატურის საქმე არ არის. ვინც ყოველ ამას ლიტერატურის და მწერლობის საგნათა ჰხდის, იგი—გვლავ ვიმეორებთ—უწურთვნელია, გონება გაუხსნელია, გულგაუწმენდელია. იგი შეუსაბამოდ და უგადრისად ექცევა ლიტერატურას და მწერლობას ერთის მხრით და მეორეს მხრით თვით საზოგადოებას, რომელიც ყოველის მწერალისაგან ითხოვს ყველაზედ უწინარესს იმას, რომ გრძნობა ადამიანის ღირსებისა ცნობილი ჰქონდეს და პატივ-საცემლად აღიარებული. მწერალს ჩაილულის წყლისაგან ვერც ნიჭი იხსნის, ვერც სხარტული და მოსწრებული სიტყვა-პასუხი, თუ ეგ გრძნობა ადამიანის ღირსებისა მისდა ჯეროვანს სიმაღლეზედ არა ჰყავს დაყენებული ყოველგან და ყოველს შემთხვევაში. თუ გინდათ, რომ ღირსება თვითონ მწერლისა შეიტყოთ, ჩაუკვირდით—ეგ გრძნობა ადამიანის ღირსებისა რამოდენად ვრცლად და რამოდენად სამართლიანად აქვს გაგებული და რწმენად მიღებული. თუ არ მხოლოობითი, ერთი უმთავრესი საწყაო მაინც მწერლის ღირსებისა ეგ არის, ჩვენის ფიქრით. მაგით აუწყევით ხოლმე ნაღვაწევი და მაშინ შეიტყობთ რა წითელი კოჭია ზოგიერთი, ეგრედ წოდებული, ლიტერატორი.

თქმა არ უნდა, რაკი ჩვენი საზოგადოება, ჩვენი ლიტერატურა და მწერლობა ამ საწყაოს დაიჭერს ხელში, რაკი ჩვენი ლიტერატურული მართებულება და ზრდილობა იმ სიმაღლეზე დადგება, რომ მწერალი ქურდულად ადამიანს მის სახლში, ოჯახში არ შეეპაროს, ჯაშუშსავით ბოძს უკან არ აეტუზოს, აცა იქნება მიზეზი რამ მამეცეს, სამარცხვინო ბოძზედ გავაკრა და თავზედ ლაფი დავასხაო; როცა თვითოეული ჩვენგანი ცალკე და ყოველნივე საერთოდ ამისთანა უპატიურს ქცევას იზიზღებს და ითაკილებს, როგორც ადამიანის ღირსების შემაგინებელს ქცევას,—მაშინ ბევრს ჩვენს, ეგრედ წოდებულს, ლიტერატორს საგბილო პირიდამ გამოეცლება და უშვერის წერისა და ბღაჯნისათვის გზა შეეკვრის, თავის უხეირო მშვილდ-ისარს ძირს დაჰსდებს, გამოეთხოვება ლიტერატორობას და თავის ჭკუისა, ცოდნის, მართებულობის და ზრდილობის შესაფერს სხვა თანამდებობას და საქმეს მონახავს.

მართალია, ამის გამო სათვალავში ბევრნი მოაკლდებიან ჩვენ ლიტერატურას, მაგრამ ეს ამბავი არავის არ უნდა დაჩრჩეს სანაღვლელად, იმიტომ—რომ ყველგან და ყოველ საქმეში მრავალნი არიან წვეულ და მხოლოდ მცირედნი რჩეულ. ჩვენთვის ეს უკანასკნელნი არიან სანატრელნი და სასურველნი. თვარემ ეხლა რას ვხედავთ? ბევრს ჩვენგანს, ვისაც კი ახა-ბანა დაუძლევია და სხვაში არსად არ არიან გამოსადეგნი, აუღიათ თავი და ლიტერატორობენ. ეგ ხელობა ჩვენში მეტად გაადვილებულია: პირველად, რომ მუქთია და რაც მუქთია, იმას კბილს ბევრი არავინ უსინჯავს. მეორე, ღმერთმანი მწერალს ჭკუისა და ცოდნის მოწვევა დასჭირდება, თუ კი წერის და ბღაჯნის მოუსვენარი საღერღელი აეშალა! ღმერთმანი იმაზედ გაირჯება, აცა ერთი ლიტერატურის და საზოგადოების ღირსი საგანი მოვნახო, თვითონ გამოვიძიო, გამოვიკვლიო, მიზეზი ვუპოვო, შედეგი გავუგო, მეც ჩემი ტვინის ძაფები დავსძრა, სხვის ტვინიც ვავარჯიშო და ვამოქმედოო! ესენი ჯერ ჩვენის ლიტერატორისათვის საჭირო არ არის, უმაგისოდაც იოლად მიდის, სახელსა და დიდებასა ჰსჩემობს და ყვირის: მომეცალენით, გენიოსი მოვბძანდებიო. საგანი უნდა? მეზობელი იქ არა ჰყავს! თუ როგორმე მეზობელი თვალში ვერ მოსდის და მიზეზიც ვერა მოუნახა-რა, თვითონ მაინც ხელ-დახელ შეჰხანწლავს ერთს რასმეს სამარცხვინო ამბავს თავის მეზობელსა, თუ მოძმეზედ, გამობღაჯნის ყოველს ამას ქაღალდზედ, ხახვით მოისრეს თვალებს, რომ ცრემლი მოუვიდეს, ვითომც და საზოგადოების სიყვარულით გული ჰსტკივა, ჰკოდებს და ვალალებს; ამოიჩრის იღლიაში ნაბღაჯნს, თავ-მოწონებით წარუდგება რედაქციას და გათავდა—მწერალია და მწერალი. მეორეს დღეს ისე გამოჭიმული დაიწყებს ბულვარზედ სიარულს, თითქო ამერიკა ამისი ნაპოვნიაო, ისე ჭკვიანურად შეიკრავს შუბლსა, თითქო მართლა და ტვინი არ ეტევა თავში და გარედ გამოსვლას ჰქლამისო სინამეტანობითა. ნუ თუ ამისთანა მწერლის თავიდამ მოშორება ლიტერატურისათვის დიდი დანაკლისი იყოს!

ჩვენ ვგრძნობთ, რომ ძალიან რთულს და მძიმე საგანს მოვკიდეთ ხელი და მეთაურის წერილების სასაუბროდ გავხადეთ. იქნება რაც სათქმელი გვქონდა, სულ ვერა ვსთქვით სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო, ან ზოგან ჩავუმატეთ, ან დავაკელით, მაგრამ ნუგეშად მაინც ეს დაგვრჩება, რომ თვითონ საგანი, როგორც იყო, ფეხზედ წამოვაყენეთ ჩვენდა საყურადღებოდ, ჩვენდა განსასჯელად და მრავალ კეცად განსაკითხავად. მკითხველი დაგვეთანხმება, რომ, თუ ჩვენ ვერ შევძელით მაგის ჯეროვანად განსაზღვრა და განვითარება, ეგ საგანი ღირსია განსჯისა და განკითხვისა, თუ გარემოება და დროთა ვითარება ჩვენს მწერლობას ხელს შეუწყობს. მკითხველი ამაზედაც დაგვეთანხმება, რომ ის უადამიანობა, ის ავყიაობა, ის უმართებულება, უზრდელობა, უწვრთვნელობა, რომელიც ესეთის თავ-მოწონებით ფართოშებს საქვეყნოდ ლიტერატურის სახელითა,—ერთი იმისთანა საზოგადო სენია მწერლობისა, რომ ყოველი პატიოსანი მწერალი, თუ წევრი საზოგადოებისა უნდა ცდილობდეს წამალი რამ უპოვოს ძირიანად აღმოფხვრისათვის.

ჩვენი სურვილი მარტო ეს იყო და თუ ამ წერილებმა ჩვენში მოახედა ვინმე ამ საგანზედ საკადრისის გულის ტკივილით, სრულებითაც არ შევინანებთ, ჩვენ პირ-იქით სასიხარულოდაც გვექნება, რომ ფიქრად მოგვივიდა და მეთაურის წერილის სასაუბროდ ეს საგანი გავხადეთ.

ი. ჭ.

*) იხილე «ივერია» №№ 15, 16, 17.

დეპეშა

იანვრის 23

პეტერბურგი. გუშინ წარსდგა ხელმწიფე იმპერატორის წინაშე გამოჩენილი მოგზაური პრჟევალსკი, რომელსაც ეხლა ებოძა გენერალ-მაიორობა.

გუშინ მთავარი ჩერნოგორიისა მიწვეულ იქმნა შინაურ სადილზე

ფელეტონი

უცხოთა შორის

სასწაულთ-მოქმედება ელექტრონისა.—ავსტრიელის გრაფის სასახლე, ელექტრონით მოწყობილი.—სინათლე, სითბო.—სამეურნეო მოქმედება ელექტრონით.—საფრანგეთის გლეხ-კაცის თავის მოკვლა და ცოლ-შვილის ამოხოცვა.—პასტერისაგან ცოფიან ყმაწვილების მორჩენა.

—

ეხლა, როდესაც მთელის ქვეყნის ყურადღება მიქცეულია ელექტრონის ძალაზედ, და რომელსაც დიდი მომავალი მოელის, მგონია ამ საგანზედ ლაპარაკი მეტი არ იყოს.—ეჭვი არ არის,—რაც ელექტრონზედ იმედი აქვსთ ეხლანდელ მსწავლულებს, ყველა რომ შესრულდეს, დიდი ცვლილება მოხდება მთელ კაცობრიულ ცხოვრებაში.—არა მგონია, რომ ბევრი ხანი გავიდეს იმ დრომდის, როდესაც ორთქლის ძალა ელექტრონის ძალას დაუთმობს ეხლანდელს ალაგს. ჯერ-ჯერობით საქმე იმაზედ არის მიმდგარი, რომ ელექტრონის ძალის გამოყენება, როგორც გვარწმუნებენ, ძვირათა ჯდება, თუმცა კი ერთი ავსტრიელი გრაფი ვ*** სრულიად სხვა აზრისაა ამაზედ, როგორც ეხლა დავინახამთ. დიდი ხანი არ არის, ერთი გამოჩენილი რუსის ელექტრონტეხნიკი ყოფილა ამ გრაფის მამულში და ეხლა მოგვითხრობს თავის ნახულს...

წარსულს შემოდგომას, მოგვითხრობს ავტორი, ვენაში ვიყავი და ერთმა ჩემმა ნაცნობმა მიპიწვია გრაფის ვ*** მამულში, რადგანაც იცოდა რომ ჩემთვის სასიამოვნო იქნებოდა, როგორც სპეციალისტისთვის, ელექტრონის გამოყენება დღიურ ცხოვრებაში. ღამის ათი საათი იყო, როდესაც იმ რკინის გზის სტანციაში გადმოვხტი, საიდანაც გრაფთან ვიყავ წასასვლელი.

აქ, დაპირებისამებრ, ეტლი მელოდდა და ერთი ყმაწვილი კაცი, გრაფისაგან გამოგზავნილი. რაკი ეტლში ჩავსხედით და სტანციის ალაყაფის კარებს გამოვეცდით, ერთბამად რალაც სინათლემ იფეთქა და ხელნის (დიშლის) წინ პატარა ელექტრონის ფარანი აენთო, რომელიც ცხენებს წინ გზას მშვენივრად უნათებდა.

—მგონია დამეთანხმებით, ბატონო, მითხრა ყმაწვილმა კაცმა, რომ ფარანი წინ ხელნაზედ სჯობიან, მინამ გვერდებზედ, ეტლის კოფიდამ (კოზლა) სინათლე მარტო ცხენებს ანათებს და გზა კი სრულებით არა სჩანს... სადაც ცხენების მრეკავი (კუჩერი) ზის, იქ პატარა ბატარეია არის და ხელნაზედ მართულებია გაყვანილი, ელექტრონის ლამპარისთვის, რომელსაც 12 სანთლის სინათლე აქვს.

შუა გზაზედ რომ ვიყავით, უეცრად რალამაც გაიელვა, და შუქი მოგვეფინა ჩვენ. ყმაწვილმა, ჩემი გაკვირვებული სახე რომ დაინახა, მითხრა:

—ეს გრაფის სასახლის კოშკის ყარაულმა გაანათა გზა, რათა შეიტყოს ვინ მოდისო!...

ნახევარ საათის შემდეგ გრაფის სასახლის კარებს მივადექით. რა წამს ეტლი გაჩერდა, იმ წამს კარებთან აინთო ორი მშვენიერი ლამპარი, რომელნიც განჰქრენ, როცა შინ შევედით. კიბე, წინა-ოთახი, ტალანი სულ ელექტრონის ლამპრებით იყო განათებული. სახლის პატრონმა დიდის სიამოვნებით მიმიღო, და მითავაზა ერთს დიდ ფანჯარასთან სკამი. გზაზედ ცოტა შეცივნული ვიყავი და როგორღაც ვერ მეჰაშნიკა ფანჯარასთან ჯდომა, მაგრამ რას გავაწყობდი. დავჯექი თუ არა სკამზედ, ფანჯრიდგან სიცივის მაგიერ, სასიამოვნო სითბო ვიგრძენ. მასპინძელმა შემატყო სახეზედ ცოტაოდენი გაოცება და მითხრა:

—სახლი იქიდგან უნდა გატფეს, საიდანაც სიცივე შემოდის; ელექტრონის ძალით ტფება ფანჯარაო.

ფანჯარა ორი ჩარჩოიანი იყო და შიგ მართულებით ტფებოდა.

—მთელი სახლები ამ გვარად ტფება, მითხრა მასპინძელმა, და მგონია ერთი ღერი შეშაც ვერ იპოვნოთ ჩემს სახლში. იქნება ბევრს ეს ჩემგან უცნაურობა ეგონოსთ, მაგრამ რომ აიღოთ ჩემი სახლის მდიდრული მოწყობილება, სურათები, ხალიჩები, ატლასის მებელი, ვგონებ, არ გამამტყუნოთ. დაწვას თავი დავანებოთ, ხოლოდ კომლის და ჭვარტლის აცილება რათაც უნდა ღირს, და რამდენსამე წელიწადს მეტს შეინახამს ჩემს სახლის მოწყობილებას უვნებლად. ყველა ოთახში პატარა ხელჩასაკიდი დუგმა (რუჩკა) არის, რომლითაც გინდ მოუმატებთ სიცხეს, გინდ დაუკლებთ.

ანიჩკინის სასახლეში. მთავარი საზამთრო სასახლეში ჩამობრძანდა. მთავრის თან მოჰყვა ჩვენი მინისტრი-რეზიდენტი ჩერნაგორიაში არგიროპულო და სამთავროს ფინანსთა დირექტორი მატანოვიჩი.

«*St.-Peterbourg*» გადასწყვეტით უარ-ჰყოფს პარიჟის გაზეთების ლაპარაკს, ვითომ პეტერბურგში აღმოეჩინოთ შეთქმულობა ნიგილისტებისა, ვითომ პოლიციას ეპოვნოს შეუწყნარებლის შინაარსის ქაღალდები, სარევოლიუციო წიგნები, ვითომ მრავალნი შეუპყრიათ და სხვანი.

ლონდონი. «რეიტერის სააგენტო» გვაუწყებს, რომ უკვე დანიშნულ იქმნენ, გლადსტონი საზინის პირველ ლორდად, ჰერშელი ლორდად-კანცლერად, სპენსერი საიდუმლო რჩევის პრეზიდენტად, ჩაილდერსი შინაგან საქმეთა მინისტრად, როზბერი გარეშე საქმეთა მინისტრად, გრენვილი კოლონიების მინისტრად, მუნდელა—ვაჭრობისა, კიმბერლეი—ინდოეთის საქმეთა, ბანერმანი—სამხედრობათა მინისტრად, რიპონი—ზღვათა მინისტრად, პარკოსტი—საზინის კანცლერად, ჩამბერლენი—აქაურ მმართველობის კომიტეტის პრეზიდენტად, ტრეველონი—სეკრეტრად შოტლანდიისათვის, მორლეი—ირლანდიისათვის, როსსელი სახელმწიფო პროკურორად.

ბუქარესტი. დღეს დაიწყო მოლაპარაკება ბოლგარიასა და სერბიას შორის მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად.

პარიჟი. მხოლოდ გამოფენისათვის 1000 [illegible] უდგენიათ; ზარალის სანდღვევლად გადაუდგიათ ორმოცი მილიონი მანეთი.

ახალი ამბავი

*** გაზ. «მწყემსს» შემდეგი საყურადღებო ამბავი შეუტყვია: ყოველ ადგილას ქრისტიანობის გასავრცელებლად მისიონერები ცდილობენ, რომ შეისწავლონ იმ ხალხის ადგილობრივი დედა ენა, სადაც უნდათ შეიტანონ ქრისტეს სწავლა ქადაგებით. ყოველს ადგილას ამ ზომით ძლიერ გაუვრცელებიათ ქრისტეს სწავლა. ეს რომ ასეა მართლა, კიდეც დაამტკიცეს საქმით წმ. კირილე და მეთოდემ. ბევრი ეწვალენ ნემცები, ბერძნები და ლათინები, ქრისტიანობის სწავლის გავრცელებისათვის, ყველამ თავ-თავის ენაზე სლავიანებში, მაგრამ მათი ქადაგებით ქრისტეს სწავლამ ფეხი ვერ მოიდგა. როდესაც სლავიანურ ენაზე კირილე და მეთოდემ დაიწყეს ქადაგება, მაშინ მსწრაფლ გავრცელდა ქრისტეს სწავლა სლავიანთა შორის...

უკანასკნელმა ომმა, თუმცა ეს ომი რუსეთს ძვირად დაუჯდა, მაგრამ ჩვენ მაინც შეგვძინა ოთხი საუკუნით დაშორებული ჩვენი ძმანები, აჭარლები და ქობულეთლები. ამ ქვეყნებში დღესაც მოიძებნებიან ძველი ეკკლესიები, რომელთაც გათათრებული ხალხი დიდ პატივს-სცემს და ხან-დისხან მათში შეწირულებაც მიაქვს. ამ შემოერთებული ხალხიდგან ზოგიერთები, როგორც ამბობენ, ხან-დისხან მიდიან თურმე ჩვენს ეკკლესიაში ჩვენი წირვა-ლოცვის საყურებლად და მოსასმენად, მაგრამ ძლიერ სწუხრან, რომ არც ერთ დროს მათ არ ესმისთ წირვა-ლოცვა ქართულს ენაზე. ამბობენ, და რამდენად მართალია, არ ვიცით, რომ კიდეც უთხოვიათ მათ ერთი პირისათვის, ერთი ქართული წირვა გვაყურებინეთო, მაგრამ ადგილობითი მღვდელს ვერ გაუბედავს, რომ მათი სურვილი და ცნობის მოყვარეობა დაეკმაყოფილებია და ერთ ჯერ მაინც ქართულად ეწირა. ნუ თუ ეს მართალია? ან რატომ ვერ გაუბედავთ ამისთანა ცნობის მოყვარეთა აჭარლებთა და ქობულეთლებთა სურვილის დაკმა- [illegible] მოყვარეობა ამ გვარ დროს და ამისთანა ხალხში სწორედ ხელ-წასაველები შემთხვევაა. ჩვენ არ გვჯერა, რომ ამისათვის ვინმემ უსიამოვნება მიიღოს; პირ-იქით საჭიროა, რომ ამ გარემოებას მიაღწევინონ ვისდამიც ჯერ არს. რასაკვირველია, ამისთანა ცნობის მოყვარენი ბევრნი კი არ იქნებიან ახლად შამოერთებულ ქართველებში, მაგრამ ერთისა და ორის შეძენისა და მოპოებისათვისაც ბევრს უნდა ვცდილობდეთ და გვიხაროდეს»...

*** ადრიანოპოლიდამ სწერენ იმავე გაზ. «აქაურის ჯარის უფროსად იმყოფება მეჰმედ-ფაშა, ქართველი, კახელის თავადის ვახვახის შვილი, რომელსაც ამ რამდენსამე წლის წინად სარწმუნოება შეუცვლია და მით დიდი ადგილი დაუკავებია. ეს გენერალი პატიოსანი კაცია, იცის ქართული ენა და უყვარს თავის სამშობლო ქვეყანა და დედა ენა, მაგრამ უმადურია თავის ბედისა და ამბობს, რომ ჩემის სხვა-და-სხვა უბედო საქმეების გამო, მე ველარ მეღირსება ჩემი სამშობლო ქვეყნის ნახვაო»...

*** იქვე სწერია: «დიდი ხანია, რაც კომმისია არის შემდგარი შესამუშავებლად ეკკლესიების შესავალ-გასავლის და საზოგადოდ ეკონომიური ანგარიშების უმჯობესად წაყვანისათვის. ეს კომმისია, როგორც იწერებიან ეხლა, ათავებს თავის მოქმედებას. ამბობენ, ამ კამისიის გარდაწყვეტილებით ყოველ სამრევლოში იქნებიან დადგენილნი რამდენიმე კეთილ საიმედო პირთაგან შედგენილნი გამგეობანი, რომელთა წინამძღოლობით უნდა მიდიოდეს ეკკლესიების შესავალ-გასავლის ყველა საქმე. ძლიერ სასარგებლოა ამისთანა გამგეობათა დაარსება. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ გამგეობის დაარსების შემდეგ უფრო უკეთესად წავა ეკკლესიების შესავალ-გასავლის საქმე, ვინემ დღეს მიდის.

*** «მწყემსშივე» სწერია: «თვრამეტს დეკემბერს გალობის აღდგინების კომიტეტმა სხვა გარეშე პირთა თანადასწრებით შეამოწმა ბ. ფილიმონ ქორიძისაგან გადაღებული ასი ნომერი ქართული საეკკლესიო გალობისა, რომელიც მოწონებული დარჩა და მიიღო კომიტეტმა კანტრაქტისამებრ. ფილიმონ ქორიძეს დარჩა კიდევ გადაღებული ას ოთხმოც-და-ათი ნომერი.

*** იქვე სწერია: «ქართლური კილოს საეკკლესიო გალობის გადაღების საქმე, რომელიც ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოსმა ითავა ტფილისში, სამწუხაროდ, როგორც ამბობენ, კარგად არ მიდისო. მუშაობა შეჩერებულა და გალობის გადამცემი ველარ უშოვიათ.»

*** გაზ. მწყემსსავე გაუგონია, რომ ბ. ი. კერესელიძე აპირებს დღიური გაზეთის გამოცემას, რომელსაც ერქმევა სახელად «ცისკარი»-ო. ეს გაზეთი იქნება სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეურნეო. ამბობენ, რომ მართებლობა სამეურეო განყოფილების გამოცემისათვის «სუფსიდიას» მისცემსო.

*** გაზ. «კავკაზს» გაუგონია, რომ მომავალის სეზონიდგან ტფილისის თეატრის ანტრეპრიზა დრამატიული წარმოდგენების გამართვის ვალდებულებიდგან თავისუფლდება და მხოლოდ ოპერის წარმოდგენებს გამართავსო. თეატრის ანტრეპრენიორი ბ. ფითოევი უკვე შესდგომია ჯეროვანს განკარგულებას ახალის ტრუპპის სამემრისოთ შესადგენად.

*** «კასპი»-ს შეუტყვია, რომ «ნათესობისა და ვაჭრობის რუსულს საზოგადოებას» განზრახვა აქვსო, რომ ნავთი დაიგიროს ხოლმე და ამ გირაოზე ფული გაასესხოსო.

*** 22 იანვარს ტფილისის ოკრუჟნოი სუდის განყოფილება ახალ-ციხესა და ახალ-ქალაქს გამგზავრებულა სისხლის სამართალის და აგრეთვე სააპელაციო საქმეების გასარჩევად, რომელნიც წარსული სესსიდან არიან გადადებულნიო. (გაზ. «კავკაზი»)

ნაკვესი

ერთი ჩვენებური ყმაწვილი-კაცი მდიდარის ქალის შერთვას აპირებდა რუსეთში. ქალის მშობლებს სასიძო დიდათ მოსწონდათ, მაგრამ—სიღარიბეს თავი არა სტკივაო—შეუთვალეს სიძეს: მზითევს ხელში არ მოგცემთ, როცა ჯვარს დაიწერ, ფულს ბანკში შევიტანთო.

სასიძომ ეს იწყინა და პასუხად შეუთვალა:

—არა, ისა სჯობია, რომ ფული მე მომცეთ და ქალი ბანკში შეიტანოთო.

ლელო

ნარკვევი
(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გლადსტონმა ინგლისის მეთაურობა იკისრა. დღეს ეს ძრიელ მძიმე და ძნელი ტვირთია: როგორც შინ, ისე გარედ ინგლისის საქმე ისეა დახლართული, რომ გლადსტონმა მთელი თავისი ძალა და ღონე უნდა იხმაროს და საქმე შესაფერს რიგს და წესზე მაიყვანოს. მეტადრე ირლანდიელების საქმე ისეთს გაჭირვებაშია, რომ ამის დაბოლოვება აუცილებელ საჭიროებათ უნდა ჩაითვალოს.

ჰერცოგი ებერკონნი, დეპუტაციის მოთავე, ამბობს გაზეთი «Новости», აუწყებს მართებლობას, რომ ირლანდიის მდგომარეობა საშინელიაო; კანონი აღარ მოქმედობს, მთელი ირლანდია ეურჩება მთავრობას; ირლანდიის მკვიდრი მცხოვრების სიცოცხლე მუდმივ შიშშია; საკუთრების და მამულის დაცვა შეუძლებელია; მამულის პატრონები სალალო ფულის შემოტანაზე კრინტს ველარ იღებენ, აღებული ფულის მიცემას, სხვა-და-სხვა ხელ-შეკრულობის პირობების აღსრულებას აღარავინ ჰფიქრობს. ერთ-გვარი შემოღებული სასჯელი მთელს ირლანდიას შიშის ზარსა სცემს. აი სასჯელი რაში მდგომარეობს: თუ ვისმეზედ რამ უკმაყოფილება ან ეჭვი აქვთ, მას საზოგადოებიდამ სრულებით სდევნიან: მოსამსახურე და მოჯამაგირე მას აღარ უდგება, ვაჭარს არ შეუძლიან მიჰყიდოს რამე, ამის სახლობას სახლში აღარავინ უშვებს და მათთან მისვლაც სასტიკად აკრძალულია; ერთის სიტყვით, ამ გვარს განდევნილს, როგორც ჭირიანს, ყველა ერიდება და ახლოს არ უდგება.

საზარელია ამ გვარი მდგომარეობა! თვითონ ინგლისელები ცდილობენ, ასე თუ ისე, უშველონ და ბოლო მოუღონ ამ საქმეს, რომელიც მთელს ცივილიზაციას ჩირქს აცხობს. გლადსტონი ირლანდიელების მომხრეა და ოცი წელიწადია ცდილობს ეს საქმე რითიმე დააბოლოვოს, მაგრამ ბევრნი ხელს უშლიდნენ. ღმერთმა ჰქნას, ეხლა მაინც კეთილად შეესრულებინოს!..

***

წარმოიდგინეთ, რომ კაცი რომელიმე სახელმწიფოში დასახლდა, ბინა და საქმე გაიწყო, სახლობა და ნათესაობა გაიჩინა, სცხოვრობს არხეინად 15—20 წელს და ერთ დღეს მოსულან და ეუბნებიან, ყველა ამას უნდა თავი დაანებოვო, აიყარო აქედამაო და წასვლით კი, საცა გინდა იქ წადიო. აი სწორედ ესეთი საქმე უყო ბისმარკმა პოლიაკებსა—პრუსიიდამ გადასახლება უბძანა. ამ გვარმა სასტიკმა განკარგულებამ დიდი უკმაყოფილება ჩამოაგდო პრუსი-

---

ამ ლაპარაკის დროს გრაფმა აიღო თახჩიდგან ვერცხლის ჩაიდანი, ჩაასხა ცივი წყალი, დადგა ისევ იმ ალაგას და პატარა ელექტრონის დუგმას ხელი დააჭირა. ორის წუთის შემდეგ წყალი ადუღდა და ჩაის სმას მივყავით ხელი. ჩაის შემდეგ, მასპინძელმა მიმიწვია სხვა ოთახებში, სინათლის გასასინჯათ. კაბინეთში, სადაც ვიყავით, გრაფი დაჯდა საწერ სტოლის წინ, დაადო დუგმას ხელი და უცებ რამდენიმე ლამპარი აინთო ოთახში. ეს სინათლის მოწყობილება ისე იყო გაკეთებული, რომ კაცს სკამიდგან ადგომა არ მოუნდებოდა, და ისე აანთებდა ანუ გააქრობდა, რამდენიც უნდოდა, იმდენ ლამპარს. შემდეგ დიდ დარბაზში შევედით. კარების ფარდის ქვეშ დამალულ დუგმას გრაფმა ხელი დააჭირა და ანაზდეულად კედლების ლამპრები აენთო; მეორეთ ხელი ახლო, და ორი მშვენიერი ჭაღი აენთო. მეორე ოთახი მშვენივრად იყო მორთული, ფუსტულის ფერის ატლასით და ხალიჩით. აქ ვერ მიხვდებოდით თუ საიდგან იყო სინათლე. ჭერის ჩუქურთმებში იყო მიმალული მნათობი. მშვენიერ, ფანტასტიურ სანახავს სადმე წარმოადგენდა ეს ოთახი.

—ამ სამის წლის წინად, მითხრა გრაფმა, ამ ოთახს ისევ ამისთანა ატლასი ეკრა, მაგრამ ესეთი შეხედულობა როდი ჰქონია, რადგანაც ზეთის *) ლამპრებით იყო განათებული.—წელიწად-ნახევარია, რაც ელექტრონის ძალით გავანათე სახლი, ამ ოთახში ატლასიც გამოვცვალე. აბა ნახეთ, რა განსხვავებაა მაშინდელს ატლასს და ეხლანდელს შორის. გრაფმა ფარდა გადასწია და მიჩვენა ჭუჭყიანი ატლასი. თუმცა წელიწად-ნახევარი ნახმარი იყო ეხლანდელი ატლასი, მაგრამ ახალქსოვილსა ჰგვანდა.

რამდენისამე ოთახის შემდეგ, გრაფის საწოლში შევედით. მთელი ოთახი კარგად იყო გაკეთებული ცის-ფერის აბრაშუმის ქსოვილით. სინათლე ჭერისა და ფარჩის შუა მოსდიოდა, ასე რომ კაცი ვერ ხედვიდა ლამპრებს. თვალთათვის ეს სინათლე ფრიად სასიამოვნო იყო.

—ეს ოთახი გვეუბნება, რომ დასვენებისა და ძილის დროაო, მითხრა ზრდილობიანმა მასპინძელმა და გამომეთხოვა.—ხვალ სხვა-რიგ ელექტრონის მოწყობილობას ნახავთო, დაუმატა გრაფმა.

***

მეორე დღეს, დილით, კარზედ რომ გამოვედით, დავინახეთ, რომ ბაღში ყვავილებს და ბოსტნეულობას რწყამდნენ, და წყალი გაფისულის ტილოს მილებით (рукава) გამოდიოდა ძალიან ღონივრად. გრაფმა მითხრა, რომ წყალი ელექტრონის ძალით მოდის, და თუ ცეცხლი გაჩნდა, შეგვიძლიან, რომ საათში სამოცი ათასი თუნგი წყალი მაღლა აეიყვანოთო. საბძელში ერთი მაშინა ჩალასა სჭრიდა, რომელიც პატარა ვაგონში თავის-თავად გროვდებოდა და ვაგონი, რაკი გაივსებოდა, რელსებზედ მიგორავდა მეორე საბძელში და იქ იცლებოდა. აქ კაცი არსადა სჩანდა და ყველაფერი ეს ელექტრონის ძალით კეთდებოდა. ბოსელში, თავლაში, ამბარში, მარანში, ღამე ლამპრები ანთია, და, რასაკვირველია, ცეცხლისა არაფის ეშინიან, რადგან «ჩემს სახლში დასაწვავი არა არის-რაო», როგორც გრაფმა მითხრა. არც ერთს ამ შენობას კლიტეები არ აღევსთ, მაგრამ დაკეტილები კი არის. ყველა კარი სადა რკინის ჯოხით იკეტება, ხოლო გაღება-კი არავის არ შეუძლიან, თუ არ ელექტრონის ძალით. ქურდი თუ მოინდომებს გაღებას, მაშინვე საშინელი ზარის რეკა შეიქნება. ეს სუ ყველაფერი რომ ვნახეთ, შემდეგ ჩავედით სარდაფში, რათა გაგვესინჯა ის ალაგი, საიდგანაც მოდის ეს ძალა. სარდაფი ძალიან დიდი არ იყო: შვიდ-ადლზე მეტი არ ექნებოდა სიგრძე. აქ იდგა დამწკრივებული ქილები, რომელთაც აკკუმულიატორები ჰქვიან, და ელექტრონის ძალას ინახვენ. გარედ ოთხი ქარის ბორბალი იდგა და ტრიალებდა. ეს მოძრაობა ჰბადავს სხვა ქიმიურის ძალის შემწეობით ელექტრონს—ეხლა ერთი ფიქრი მაქვსო, მითხრა გრაფმა: მინდა გავყიდო ცხენები, ეტლები, ფურგონები, დავითხოვო მრავალი ჩემი მოჯამაგირეებიო და ელექტრონის ძალით მივყო ხელი ხვნას, თესვას, მკას, თიბვასაო! ამ სარდაფში განაგრძო მასპინძელმა, არის შეკრებული დღეში ოთხასი

*) ევროპაში დიდ სახლებში ნავთს არა ხმარობენ—ზეთი უნთიათ.

ის პარლამენტში და ბევრი მკვახე სიტყვაც უძღვნეს ბისმარკს. ბისმარკი აქამდინ ჩუმად იყო, ეხლა კი ხმა ამოუღია და გრძელი სიტყვა წარმოუთქვამს ლანდტაგში. ეს სიტყვა გაზ. «Новости»-დამ მოგვყავს.

ბისმარკმა ჯერ მოკლედ მოიხსენია პოლშის პრუსიასთან შეერთების ისტორია და მერე განაგრძო: ჩვენი მთავრობა სრულიად თავისუფალია და არაფერი მოვალეობა არა აქვს პოლშების წინაშე, რომელნიც ყოველთვის მტრულის თვალით უყურებდნენ პრუსიის სახელმწიფოს; 1848 და 1863 წლების არეულობამ ხომ სრულებით დაგვარწმუნა, რომ პოლიაკები ჩვენი დაუცხრომელი მტრები არიან და მას აქედ ჩვენ ნდობა სრულიად დავკარგეთ. ვსწუხვარო, სთქვა ბისმარკმა, რომ ავად-მყოფობის გამო ვერ დავესწარი ლანდტაგში მაშინვე, როცა პოლიაკების საქმეზე ლაპარაკი ჩამოვარდა; ამის მაგიერ ეხლა არავის ვემალები და პირ-და-პირ ვამბობ: საკვლავოდ ნებას აღარ მივცემ, რომ პოლიაკებმა კიდევ თავიანთს სახელმწიფოს წინააღმდეგ პლანებს მისდიონ. მათ პირ-და-პირ ვეტყვი— «honds off» (ხელები უკან!). გვეუბნებიან, პოლიაკებს წინად არ ატყობინებთო და ისე ერეკებითო;— ტყუილია, ჩვენ გადას ვაძლევთ. ამ სიტყვებს პოლიაკები ძალიან აუღელვებია. ბისმარკს შეუნიშნავს ეს, სიტყვა გაუწყვეტია, იმათკენ მიბრუნებულა და უთქვამს: ჩვენზე-კი ძალიან სჩივით და რატომ თქვენ-კი წინადვე არ გვატყობინებთ, რომ ჩვენ წინააღმდეგ რასმე აპირობთო!» ამის შემდეგ ბისმარკმა ისევ განაგრძო: «დროა, სრულიად მოისპოს რეიხსტაგის წინააღმდეგობა, მე ვურჩევ იმპერატორს და შეერთებულ გერმანიის სახელმწიფოთ, ერიდონ შემდეგში და იმისთანა მინისტრები აღარ დანიშნონ, რომელნიც ესეთი სამარცხვინო მხდალები ყოფილან ამისთანა დიდს საქმეში და ამდენს ნებას აძლევენ რეიხსტაგს. ამ სიტყვებმა საშინელი უკმაყოფილება ასტეხა ლანდტაგში, მაგრამ ბისმარკმა ხმა აიმაღლა და თავის სიტყვა ასე გაათავა: «თუ საჭიროება მოითხოვს, გინდ უუმეტესობაც ჩემ წინააღმდეგ იყოს, მე უმაგათოდაც სახელმწიფოს მოუვლიო».

ბერლინში ბისმარკის სიტყვას დიდი ზედ-მოქმედება ჰქონია.

⁂

ვინ მაიფიქრებდა, თუ დინჯი, «ჭკუა-დამჯდარი» ჩინელი მდიდარის ფანტაზიის პატრონი იქმნებოდა. ესეთ უცნაურს ამბავს, რომელსაც «Восточное Обозрѣніе» გვატყობინებს, თვით განთქმულის ჟიულ ვერნის ფანტაზიაც ვერ შეჰქმნიდა. მერე ის არის უფრო საკვირველი, რომ ამ ამბავს იწერება თვით ერთის ჩინეთის პროვინციის გუბერნატორი და სად? პეკინის ოფიციალურს გაზეთში. აი პატივ-ცემული გუბერნატორი რას იწერება თურმე:

ამ წლის მეექვსე მთვარეს ქალაქს შანხაიში გამოჩნდნენ წყლის ელქაჯები, სახელად დალა-ომან. რიცხვით ელქაჯი ცამეტია, სიმაღლე ოც-დაექვს ადლზე ცოტა მეტი აქვთ; სცხოვრობენ ზღვის პირას; მთელ დღეს იმაში ატარებენ, რომ უცხოეთელებს ჰყლაპავენ, თუმცა არც ჩინელებს ჰზიზღობენ. იმათ-კი, ვისაც ქრისტიანობა მიუღია, მარტო ჰხოცვენ, ჭამით კი არა ჰსჭამენ. გუბერნატორს ამ ცნობებთან ელქაჯის სურათიც დაუმატებია: თავი თურმე ლორისა აქვთ, ენა—გრძელი, ხორცის ასალოკავად, მუცელზე, თურმე ორი ადამიანის სახე აქვთ გამოხატული, ყურები სრულებით არა ჰქონიათო; ადამიანურად ლაპარაკობენო, ფეხებზე თითები არა აქვთო, თვალები, თურმე, ზურგზე, ხელებზე და ფეხებზე ჰქონიათ, მთელ ტანზე თევზის ჯაგარივით რაღაცა აყრიათო.

ჩვენში ყმაწვილებს კი აშინებენ ხოლმე ამ გვარი არაკებით და თუ ჩინელებსაც ამითი ევროპიელები უნდათ შეაშინონ, მართლა რომ ისინიც ყმაწვილები ყოფილან; და თუ ხუმრობაა, მართლა რომ ჩინეთური ხუმრობაა!

დამაკვირდი!

უქმობა უფრო ჰღლის ადამიანს, ვიდრე ჯაფა და შრომა. (ვოვენარგი)

⁂

ყველაზედ უარესი სულელი ის არის ქვეყანაზედ, ვისაც კარგი მეხსიერება აქვს: იგი თავის საკუთარს სულელობას ზედ უმატებს სხვისასაც. (უცნობი)

⁂

გული ადამიანისა ძლიერია მხოლოდ მაშინ, როცა განათლებულია. (ვოლტერი)

⁂

ადამიანი, რომელიც ცოტასა ჰსაქმობს, მეტის-მეტი უბედია; ვინც ცოტასა ჰფიქრობს, იგი ბევრსა ლაპარაკობს. (მონტესკიო)

⁂

დიდი სული უტკივარი იქნებოდა, რომ სხვის გულ-შემატკივარი არ იყოს და არ იტანჯებოდეს. (ვალერი)

⁂

— ვიღამაცა ჰკითხა დიოგენს, კაცმა სადილი რა დროს უნდა ჭამოსო.

— თუ მდიდარია, მაშინ, როცა ჰსურს, თუ ღარიბია მაშინ, როცა სადილი აქვსო, უპასუხა დიოგენმა.

სიტყვა *)

ღირსისა დედისა ჩუენისა და მოციქულთა სწორისა ნინა ქართველთ განმანათლებელისა გარდაცვალების დღეზედ იდ-ს იანვარს ჩყპვ-ს წელსა.

«მოიხსენეთ წინამძღვარნი თქუენნი, რომელნი გეტყოდეს თქუენ სიტყუათა მათ ღმრთისათა, დ ხედვიდით რა გამოსვლასა ცხოვრებისა მათისასა» (ებრ. 13. 7).

კეთილ მორწმუნენო ქრისტიანენო! ყოველს ერს, რომელსაც კი ისტორიულად უცხოვრია, რომელსაც-კი აღუბეჭდია რითიმე კვალი თავის ცხოვრებისა, უეჭველად ჰყოლია იმისთანა დიდებულნი პირნი, რომელთაც დაუყენებიათ ეს ერი ისტორიულ გზაზედ და შეუტანიათ მის ცხოვრებაში ის ასაღორძინებელი ძალა, რომელიც შემდეგ გამხდარა ქვა-კუთხედ ამ ერის მთელი ისტორიული სიცოცხლისა. მეტადრე დასაწყისი რომელიმე ერის ისტორიისა ხომ ყოველთვის ეკუთვნის ამათთანა კერძო პირთ, ყოველი ერი დავალებულია თავის ისტორიით იმათით.

საქართველოს შვილნო და მართ-მადიდებელნო ქრისტიანენო! არც ჩუენა ვართ მოკლებულნი ამათთანა დიდებულთ პირთ, ჩუენც გვყავს ჩუენი ეროვნების სულის შთამდგმელნი და ჩუენი ისტორიის მომცემნი. ჩუენი წინამძღვარი და ჩუენი ერის სიცოცხლის დამაყენებელი, არამც-თუ არის მომაკვდავი ხორციელი, —იგი არის მოციქული თვით ზეცისა, იგი არის იმ წმინდა მოციქულთ თანასწორი, რომელთ სწავლამ განაახლა მთელი კაცობრიობის ცხოვრება ზეციურის ცხოველს-მყოფელის მადლის შეტანით,—იმ მადლის შეტანით, ურომლისოთაც, როგორც გვაჩვენებს რაოდენიმე ათასის წლის ისტორია, კაცობრიობას არც შეეძლო მიეგნო ჭეშმარიტ გზისათვის და არც გაევლო მაზედ თავის თავათ.

დიდებული დღეა დღეს, არამც-თუ საქართველოს ეკკლესიისათვის, არამედ მთელი საქართველოს ერისათვის. დღეს ჩუენ ვდღესასწაულობთ საქართველოს განმანათლებელის მოციქულთა სწორის ნინას გარდაცვალების დღეს. თხუთმეტმა საუკუნემ განვლო მას აქეთ, რაც ეს ღირსი დედა აღესრულდა; თხუთმეტმა საუკუნემ მრისხანებით გარდაუარა თავის ივერიას, მაგრამ ის სულიერი ძალა, რაჲცა შეიტანა ამ ღირსმა დედამ საქართველოს ერში, დღევანდლამდე არ გამქრალა და არც გაქრება, მინამ საქართველოს ერი სცოცხლებს დედა-მიწის ზურგზედ. ეს ის ზეციური ძალა იყო, ცხოველი და საუკუნო, რომელმაც საქართველო განაახლა და განამტკიცა სულიერად და ამით შეაძლებინა მას იმ შავი ბედისაგან გამოხსნა, რომელიც შეუბრალებელი მეკის და მედინის ფანატიკთა წყალობით ერგო საქართველოს მის გრძელ-ჟამიერ წარსულში; როგორც რომ ყინვით დამზრალ ქვეყანას გამოაცოცხლებს თბილი გაზაფხული, ეგრეთვე საქართველოში ნინას მიერ შემოტანილმა ქრისტიანობის ბრწყინვალე და ცხოველს-მყოფელმა სხივმა გარდაახალისა, განაახლა საქართველოს ერი, ზეციურის მადლით განაცოცხლა და აღადგინა იგი წარმართობის ღრმა სიბნელისაგან, რომელშიაც გზა არეულნი ჩუენნი წინაპარნი, არა მცნობნი ჭეშმარიტისა და სინათლისა, უხრიდნენ თავთა მხოლოდ თვისთა უსულოთა კერპთა და სწირავდნენ მათ შვილთა თვისთა.

სახარების სინათლემ, რომელიც შემოიტანა ივერიაში ღუთის-მშობლის მოციქულმა ნინამ, აუხილა ამ ბრმათ თვალნი, ზეციური სიყვარულის ძალამ და ზეციური მაცხოვრის მადლმა ჩაუდგა მათ სული განახლებისა და ცხოვრებისა, ზნეობითად მტკიცედ შეაკავშირა იგინი ერთ განუყოფელ საზოგადოების სხეულად, რომელშიაც ყოველი ქართველი ხედავდა თავის თავს ზეციური მამის შვილად და თავის მეზობელს თავის მოძმედ, თავის მოყვარედ. ეს სულიერად შეკავშირებული ძალა ქრისტეს სწავლისა, რომელიც განავრცელა ჩუენს სამშობლოში ღირსმა ნინამ, ეს ერთი ერთმანეთის სიყვარულის დაფუძნება ქართველთა შორის, ნაცვლად უწინდელი მათ შორის სიძულვარისა და მტრობისა, შეიქმნა საქართველოს იმ მტკიცე სვეტად, რომელსაც ვერა დააკლო-რა თხუთმეტი საუკუნის ქარიშხალმა. მტკიცედ იდგა ეს სვეტი და მტკიცედ ჰქონდა მას ფესვი გამდგარი კეთილ და ნაყოფიერ ივერიის ნიადაგში.

დიდება ღუთის განგებას! ის ურიცხვი ისტორიული [illegible], ის მრავალ-გზითი აკლება-[illegible] მტრის მხრით, რომელიც მოელოდა საქართველოს მომავალში, ხომ ერთიანად აღგავდა ერთ მუჭა საქართველოს ერს, რომ მისი ხსენებაც აღარ იქნებოდა დედა-მიწის ზურგზედ, თუ ჩუენნი წინაპარნი არ ყოფილიყვნენ წინათვე განმტკიცებულნი ერთი ერთმანეთის ზეციური სიყვარულით, რომელიც მათ უბედურობის დროს ერთად აკავშირებდა ერთს სამღთოს დროშას ქვეშ და ერთ მუჭა ხალხს აძლევდა იმისთანა გმირულ ძალას, იმისთანა გასაოცარ სიმხნეს, რომ ერთი ქართველი თუმცა უხვდებოდა ასს მტერს, მაგრამ ეს ერთი ამ ასს არამც-თუ ურიდა, არამედ ძალითა ღუთისათა აჭარბებდა კიდეც, და ესრეთ ქართველი იცავდა თავის რჯულს, თავის ეროვნობას და თავის სამშობლოს. საშინელი წვალება გამოიარა ჩუენმა მიწა-წყალმა ურჯულო მტრისაგან: ერთი მეორეზედ მიყოლილი უბედურება ხდებოდა თავის კვალსა აოხრებისას, საქართველოს უკეთესი შვილთ სისხლის ნიაღვრით ირწყოდა ჩუენი სამშობლო, შეუბრალებელი ურჯულო მტერი «ძლიერი მძლავრი» ოთხ კუთხივ ნატამალს აგლებდა, მუსრავდა, იგლებდა და ცეცხლის მსხვერპლად ხდიდა ქალაქებს, სოფლებს, დათესილს ყანებს, ანგრევდა და შეაბილწებდა წმიდათა ღუთისა ტაძართა, არ იბრალებდა არც სუსტთ, არც მოხუცთ და არც უსუსურ ყრმათ, აუპატიურებდა ცოლთა, დედათა და ასულთა ჩუენთასა, რასაცკი მიუახლოვდებოდა მისი დაუნდობელი და ბოროტებით სავსე მარჯვენა, ყველას ემჩნეოდა სისხლი, აკლება და შებილწვა, რა იხსნიდა, რაღას შეეძლო დაეხსნა საქართველო, რაღა რჩებოდა მას ამისთანა გულ-მოსაკლავ სურათის მხედველს სანუგეშებელი ანუ განმამხნევებელი, თუ არ მხოლოდ ღუთისადმი სასოება, თუ არ ის რწმუნება, რომ იგი «ყოვლად ძლიერი და ყოვლად სახიერი», არ დაუტევებს მას, თავის ერთგულს საქართველოს ერს, ვიდრე დასასრულამდე სოფლისა?! რაღა შეაძლებინებდა საქართველოს კვალად აღდგომას, თუ რომ ამ გვარ შერყევასთან, საქართველოს გააქრობდა ის «ცხოველს-მყოფელი სულიც», რომელიც ჩაუდგა ჩუენს წინაპართ ზეციურმა ჩუენი განმანათლებელის ნინას სწავლამ; მაგრამ არა, ყოველ-გვარ შემთხვევასთან იმისა, რაჲცა იყო «ხორციელი», ივერიას არასოდეს არ შერყევია ეს «საღმრთო სული»; ყოველივე ინაცვალა მტერმა, მა-

*) გბეჭდავთ ამ სიტყვას შეუცვლელად და სიტყვიერების ხელ-შეუხებლად.

რედ.

ცხენის ღონე, როცა სადმე მოუნდებათ ძალა, კანტორას მიჰმართვენ ხოლმე და იქიდგან მოითხოვენ. კანტორაში ყოველთვის ჟურნალში იწერება შემოსავალი და გასავალი ძალისა. აი მაგალითად წარსულის თვის გასავალი:

	ცხენის ღონე
ბაღის დაბოსტნეულობის მოსარწყავად . . .	1,100 —
წყლის ამოსაყვანად .	360 —
განათება სასახლისა . .	550 —
აგურის ქარხანაში მიცემული	220 —

შემოსავალი ყოფილა 3,400 ცხენის ღონე, ასე რომ დაწვრილებით ვიცი, რამდენის ცხენის ღონე მაქვს შენახული სარდაფში.—

როგორა გგონია, მკითხველო, იქნება ჩვენშიაც მალე შემოვიდეს ეს ჩვეულება?!

⁂

წარსული ჩემი ფელეტონი სიმდიდრეზედ იყო და ეხლა, მოდი, სიღარიბეზე ვსთქვათ ორიოდე სიტყვა— ხომ გაგიგონიათ, ქვეყანა მაღალ-დაბლობით არის სამსეო.—საფრანგეთის გაზეთებმა მოგვიტანეს ერთი შემაძრწუნებელი ამბავი, მომხდარი საფრანგეთში, ბრეტონის მხარეს. ფრანსუა პოლი, რომელიც ეხლა წარმოსდგა სამსჯავროს წინ, ყოფილა ღარიბი გლეხ-კაცი ბრეტონში. სამი შვილი ჰყოლია, და მისი ცოლი მეოთხეზედ ყოფილა დასაწოლი. ამათი სიღარიბე წარმოუდგენელი რამ ყოფილა. საცოდავ პოლსა არა ებედებოდა რა; სახარშო დუქანი გაუღია—დაღუპულა; მიწა აუღია მოსახვნელად—არა მოსვლია-რა. საცოდავს მეპურის ვალიც დასდებია, ასე რომ საჭმელიც გამოლევია. უბედურს პოლს გადაუწყვეტია—ამ სიცოცხლეს, სჯობს რომ თავი მოვიკლა და ჩემს ცოლ-შვილსაც ყელები დავსჭრაო. უკანასკნელის ხუთი ფრანკით უყიდნია თავის პატარა ქალისათვის წინდები და წუღები, და ერთს დეკემბრის დილას მთელი სახლობა მოკრეფილა და ზღვისკენ გამგზავრებულა. მამას სჭერია ხელში სამის წლის ბიჭი; დედას—გულზედ მიკრული ორი წლის ქალი, ახალის წუღებით და შუაში ხუთის წლის ბიჭი მიდევნებულა. ზღვის კიდეს რომ მიმდგარან, პოლს დაუნახავს, რომ თავის ცოლსა და შვილს მეტი სიარული აღარ ძალ-უძთ და სათითაოდ ზურგით ჩაუყვანია ზღვის ნაპირამდე. როდესაც ყველანი ერთად მოგროვილან, დედ-მამას, როგორც მოსვლის დროს, თავიანთი შვილები ხელში აუყვანიათ, უფროსისთვის ხელი მიუციათ, და შესულან ზღვაში!!... პირველ ტალღას საცოდავი დედა-კაცი წაუღია, თავის პატარა გოგოთი გულზედ და უფროსი შვილი, რომლისთვისაც ხელი ჰკიდებია. მამას რომ ეს დაუნახავს, უფრო მაგრა მოჰხვევია ვაჟსა, რომელიც, თურმე, შიშით ყელში ეპოტინებოდა —და გადავარდნილა წყალში. ამ უბედურს კაცს, უკანასკნელ დროს, სიცოცხლე გასტკბობია, სიკვდილთან ბრძოლა დაუწყვია და... ნაპირზე გონება-წასული გამორიყულა. შემდეგ მეთევზეებს უპოვნიათ და სოფელში მიუყვანიათ... სამსჯავროში, როცა კითხვა დაუწყვიათ, როგორ იყო საქმეო, უბედურ კაცს უთქვამს: «პატონო პრეზიდენტო! უბძანეთ ხელ-ფეხი შემიკრან და ზღვაში ჩამაგდონ—სიკვდილისა არ მეშინიან; აი, აქვე სული ამომართვით, ოღონდ ნურარასა მკითხავთ, და ნურარას მათქმევინებთ,—მეტს ველარას მოგახსენებ»!... ნაფიც მსაჯულთ შესაწყნარებელი გარემოებანი უპოვნიათ, და სიკვდილის მაგიერ (საფრანგეთში სიკვდილით დასჯა კიდევ არის) სამუდამოდ კატორღაში გაუგზავნიათ!.. ღმერთმა ყოველი ადამიანი იხსნას ამ გვარ სიღარიბისაგან.

⁂

თუ ჩემი პირველი ფელეტონი გახსოვთ, პასტერზედ მქონდა ბაასი, რომელმაც პატარა ამერიკელებს ცოფი აუცრა.—ოთხივე ყმაწვილი მორჩენილა და ამერიკაში დაბრუნებულან კიდეც მშვიდობით და უვნებლად.

დონ ენ.

გრამ საქართველოს ვერ გაუქრო ეს «სული»; იგი ღვთის ნაპერწკალივით ღვიოდა ივერიის განმგმირველ და განრღვეულ გულში, ამტკიცებდა და ამხნევებდა ამ გულს ახალი ღვაწლისათვის, უგანასკნელ სისხლის წვეთამდისინ საბრძოლველად წინააღმდეგ «შვილთა უსჯულოებისათა», და ქართველი ერი ფერფლისა და ნაცრისაგან კვალად აღდგებოდა და აყვავდებოდა ხოლმე. ამ საქართველოს სულს არ მიჰყავდა არავითარ უბედურებაში საქართველოს შვილნი იქამდის, რომ მათ დაჰკარგოდათ როდისმე ღვთისადმი სასოება და მომავლისადმი სიყვარული; ხოლო ეს სასოება და სიყვარულის ძალაც მათ ამხნევებდა და ხდიდა უძლეველ გმირებად. ქართველი ერისათვის, ჩვენ მამა-პაპათათვის, ქართველნო, არ არსებობდა რაიმე გარეგანი დაუძლეველი დაბრკოლება, მიტომ რომ იგინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათთანაა თვით უძლეველი მათი უზენაესი ხელთამპყრობელი, რომ მათთანაა და მათკენ თვით ყოვლად შემძლებელობა ზეცისა, რომ მათთანაა ერთად შეიარაღებული უზენაესი სიმართლე და უცვლელი ჭეშმარიტება, და ეს სარწმუნოება ისეთი უდიდესი ძალაა ქვეყანაზედ, რომელიც ადრე თუ გვიან ძლევა შემოსილად გამოიყვანდა ჩვენ მამა-პაპა ყოველ გვარი უბედურებისა, განსაცდელისა და ჭირისაგან.

განსაცდელთა წლებში იგინი არამცთუ არ ვარდებოდნენ სასოწარკვეთილებაში, არამედ რამოდენათაც უბედურობა უფრო საშინელი და შესაზარი იყო, იმდენად უფრო ემატებოდათ ჩვენ მამა-პაპათ ღვთისადმი სასოება და სიმტკიცე ქრისტეს სჯულისა წინააღმდეგ ურჯულოთა და მძვინვარე ბარბაროზთა; არა ვითარ ტანჯვას არ შეეძლო განდაეშორებინა იგინი ქრისტეს სარწმუნოების ერთგულობიდგან და ეს გასაოცარი რჯულის სიმტკიცე ჩვენთა წინაპართათა იყო მიზეზი რომ მცირე ხალხმა არ დაჰკარგა თვისი მამული და თვისი ეროვნობა. რჯულმა, ქართველნო, ნინას რჯულმა, ვიმეორებ, დაიცვა საქართველოს სამშობლო და მათი ეროვნება, შეუბრალებელი ბედის მსხვერპლნი, ზოგნიერთნი მხარენი ივერიისა, რომელნიც რჯულის გადადგომისა თანავე, მოსწყდნენ ჩვენ საერთო სამშობლოს და დაკარგეს თვისი ეროვნება, წარმოადგენენ აგრეთვე ცხადათ ამის დამტკიცებას, აჭარა, ქობულეთი და სხვანი. ჩვენნი ღვიძლნი ძმანი, ჩვენი ეროვნების უწინდელი გმირთ ბუდე, ერთ დროს ჩვენთანა ერთათ მძვირად მებრძოლნი წინააღმდეგ საზოგადო სამშობლოს ბედისა, აღმსარებელნი ჩვენთანა მართლმადიდებელისა სარწმუნოებისა, ეხლა, სამწუხაროდ, რანიც არიან, ეს ყველამ ნათლად ვიცით.

მაგრამ დიდ არს განგება ზეცისა! მან არ მოინდომა თავის ერთგული ივერიის სიმტკიცე მიეყვანა უკანასკნელ განსაცდელამდისინ; მან მოუვლინა მრავალ ტანჯულს, მრავალ გვემულ საქართველოს მფარველი ანგელოსი; თავის, ერთგულნი ივერნი მან შეაბარა მათს ერთ მორწმუნე დიდებულ რუსეთის ერს, რომლისა საფარ ქვეშანი ვიმყოფებით უშიშრათ, მყუდროდ და უსჯულოთა მტერთაგან მოსვენებით. — თხუთმეტი საუკუნის სისხლის ღვრის შემდეგ საქართველოს დაუდგა დრო მშვიდობისა და შვებისა. მაგრამ უცვალებელმა ისტორიულმა განონმა თავისი სარგო ჰპოვა: ერი, რომელმაც ამდენს ხნის განმავლობაში არ იცოდა, რა არს მშვიდობა და მოსვენება, ეს ერი ისეთ ნაირათ დაეცა, ისეთ სულიერ სიუძლურეში ჩავარდა, რომ ეხლანდელნი ქართველნი წარმოადგენენ თავიანთ დიდებულთ მამა-პაპათ მხოლოდ აჩრდილს. სამწუხარო და გულმოსაკლავია ეხლანდელი სულიერი მდგომარეობა საქართველოს ერისა, მისი უგრძნობელობა ყველა მისდამი, რითაც ძველი ქრისტეს და მამულის მოყვარე ივერი იყო ძლიერი და მხნე. მაგრამ, ქართველნო, იმედი გვქონდეს, რომ ეს სულიერი დაცემა ერისა მხოლოდ დროებითია, შემდგომ ამოდენა ხნის მისი დაუცხრომელი და დაუძინებელი, თითქმის ყოველ-დღიური ბრძოლისაგან. გაივლის ეს პერიოდი და ჩვენი ერი კვალად განმტკიცდება სულითა ძლიერის რუსეთის მფარველობის ქვეშ.— მხოლოდ, ძმანო, ნუ დავივიწყებთ რომ სარწმუნოებამან სულიერათ აღზარდა და ისტორიულად აცოცხლა ძველი ივერი; მისმა ცხოველს-მყოფელმა ძალმანვე უნდა დააყენოს ფეხზედ დაუძლურებული სულით ახალი საქართველოც, და ეს იმდენათ უფრო ადვილია ჩვენთვის, რამოდენათაც ახალი საქართველო ყოვლად მოწყალე და თანა მორწმუნე რუსთ კელმწიფის უავგუსტესს საფარ ქვეშ უფრო მშვიდობიან და უშიშარ პირობებშია, შედარებით ძველ ივერთან, რომელიც მთელ თავის ეროვნების ძალ-ღონეს ანდომებდა თავის თავს და თავის წმიდა რჯულის დაცვას, რომელსაც თვით არსებობისათვის განუწყვეტელი ბრძოლის დროს, აღარ რჩებოდა ძალა ფართო სულიერი განვითარებისათვის, ეხლა-კი სულ სხვაა; ეხლა მთელი სულიერი ძალა ჩვენი ერისა, სრულიად მიმართული იქნება მისს შინაგან კეთილ დღეობისკენ და სულიერად ამაღლებისკენ.

დღევანდელი დიდებული დღე ჩვენი ღირსი დედისა და ჩვენი განმანათლებელისა ნინასი იყვეს, ქართველნო, ჩვენი გამამხნევებელი, ამ საღმრთო სამშობლო საქმეში, და მოსაგონებელიც მისა, რომ ჩვენი ღონისძიება, შრომა და სიმხნე სამშობლოს ამაღლებისა და აყვავებისათვის უნდა იყვეს მტკიცედ დამყარებული იმ საღმრთო ისტორიულ საფუძვლის ნიადაგზედ, რჯულსა და, სიყვარულსა ქრისტიანებრივზედ, რომელზედაც იყვნენ აღზრდილნი აგრეთვე ჩვენნი დიდებულნი წინაპარნი, მივმართოთ, საქართველოს შვილნ და, მივმართოთ ჩვენ განმანათლებელის ცხოველ მყოფელ სარწმუნოებასა, მივმართოთ კვალად «ღმერთსა მამათა ჩვენთასა» მივმართოთ მას, მაშვრალნო და მრავალ ტანჯულ და, და «იგი განგვისვენებს ჩვენ», ვევედრნეთ აგრეთვე მხურვალისა გულითა ღთის მშობელსა დედასა; საქართველო მისი საუფლის წილოა, ზენა არსიდგან მას ჰხვდით წილათა; მან მოგვივლინა ჩვენ ღირსი დედა ნინა ჩვენი განმანათლებელი და ჩვენი ერის წინამძღვარი; იგი იყო მფარველი, უბედურობის დროს— ჩვენთა წინაპართათა ყელთ ამპყრობელი, იგი არა არიდებდა თავის მოწყალე თვალსა მათ განსაცდელთ წლებში; იგივე მოგვცემს ჩვენცა ძალასა დავრდომილთა სულიერად კვალად აღდგომისას! მოვიხსენოთ, მართლ-მადიდებელნო ივერნო, მოვიხსენოთ, აგრეთვე ყოვლად საგონებელი ქართველთაგან დაუვიწყარ ჩვენი წინამძღვარი, ქრისტეს სჯულის ჩვენნი მქადაგებელი წმიდა და მოციქულთა სწორი ნინო, და «[illegible] რა გამოსვლასა მას ცხოვრებისა მისისასა, გვამვიდეთ სარწმუნოებასა მისსა». ამინ!

არხიმანდრიტი მაკარი

გვიან მოსული დეპეშა

24 იანვარი

ვენა. თუ სერბიამ უარი სთქვა და იარაღი არ აიყარა, ადვილად დასაჯერებელია, რომ სახელმწიფონი ხელახლად ჩაერევიან, მალე გათავდეს სჯა და ბაასი მშვიდობიანობაზედ.

ბუქარესტი. გუშინ ოსმალთა-ბოლგართა და სერბიის დეპუტატთა ერთმანეთს წარუდგინეს რწმუნების წერილები. შაბათს შეუდგებიან შერიგების საქმეს.

ბელგრადი. მეორე მოხსწვევის ჯარის კაცნი რომ მოითხოვეს, ორმა ბატალიონმა უარი სთქვა: არ გამოვალთო. სერბიის ოფიციოზებური გაზეთი «Видело» საბერძნეთს უწონებს, კარგად იქცევიო. ამბობენ, მეჯიდ-ფაშა მოითხოვს, რომ სერბიამ ბოლგარიას უზღოს დანახარჯი მხედრობისა.

სოფია. აღმოსავლეთ რუმელიიდამ და ბოლგარიიდამ აუარებელი დეპეშები მოდის და ულოცვენ მთავარსა და მინისტრებს ბოლგარიის გაერთებასა.

ლონდონი. ლორდთა პალატის კრება გადიდვა ორშაბათამდე და დეპუტატთა პალატისა შაბათამდე.

პარიჟი. საერო განათლების მინისტრი გობლე სენატში ამტკიცებდა, რომ საჭიროა საერო სკოლებს მიეცეთ მთლად საერო სახიათი. სენატმა დაადგინა, რომ ამ საგანზედ თქმული სიტყვა გობლესი დაიბეჭდოს და ყველგან მოიფინოს. დეპუტატთა პალატამ დაამტკიცა წინადადება, რომ სამეფო ბრილიანტები გაიყიდოს და ფული მოხმარებულ იქმნას მუშების სამადლოთ. რადიკალებმა შეიტანეს წინადადება, რომ საფრანგეთიდამ გამეებულ იქმნენ წევრნი იმა გვარეულობისა, რომელთაც ოდესმე უმეფნიათ საფრანგეთში.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ **1886** წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7394**.
ძველი ინდიქტიონი მე-14.
ამისი ქორონიკონი—უოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4.
ამისი ქორონიკონი მბ=42 წელიწადია დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1886 წლის ზედ-ნადები—3,

ყველიერი მოდის 16 ფებერვალს, დიდ-მარხვა — 23 ფებერვალს, აღდგომა—13 აპრილს, ამაღლება — 22 მაისს, სულის-წმიდის მოსვლა—1 ივნისს, ამავ დღიდამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

იანვარი 31 დღით არის.

25 დღე შაბათი. წმ. გიორგი ღვთისმეტყველისა; სომეხ. წმ. აიანასი, კირილე მამა-მთავრისა. კათოლ. პავლესი, ანანასი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14—19. ტფილისში მზე ამოდის 7—8, ჩადის 5—21. მთვარე ამოდის 8—16; ჩადის 7—30 ნ.-ღ.

26 დღე კვირა. ღირსი ქსენოფონტი; დავით III აღმაშენებელი, მეფე ქართლისა 1089—1155. კათოლ. პოლიკარპ. ეპისკ. და პავლინისა. ჭეშმარიტი შუა დღე 12—14—23. ტფილისში მზე ამოდის 7—7; ჩადის 5—23. მთვარე ამოდის 8—47; ჩადის 8—27 ნ.ღ.

27 დღე ორშაბათი. აღმოყვანება ნაწილთა წმ. მამისა იოანე ოქროპირისა; სომ. ევგენ, მაკარ და სხვ. კათოლიკ. იოანე ოქროპ. და დაციასი. ჭეშმარიტი შუადღე 12—14—25. ტფილისში მზე ამოდის 7—6; ჩადის 5—24. მთვარე ამოდის 9—19; ჩაჩადის 9—27 ნღ.

გამოსადეგი ცნობანი.
ბაზანდა.

1 იანვრიდამ 1-ლ თებერვლამდე.

რუსეთის ფქვილისაგან გამომცხვარი პური 1 გირვ.	5 კ.
ადგილობრი პური 1-ლის ხარისხისა.	$2^1/_4$ „
„ „ 2 „	2 „
ჯვარის მამის პური თონისა და ლავაში	
1-ლის ხარისხისა	$4^1/_2$ „
მე-2 ხარისხისა	$3^1/_2$ „
მე-3 —	3 „
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	8 „
2 —	7 „
ჩალალაჯი და ცალკე ამოჭრილი სუკი	14 „
ცხვრის ხორცი.	7 „
ღორის ხორცი 1-ლის ხარისხ.	5 „
2-ის ხარისხ.	4 „

განცხადებანი

ქ. ქუთაისს
დუგლაკის და კº კირის ქარხანაში
ისყიდება საუკეთესო **კირი**
ამ ფასად:

1 კუბიკური საჟენი წყალ-დაუსხმელის კირისა . . . . . 75 მ.
1 კუბიკური საჟენი წყალ-დაუსხმელისვე კირისა ვაგონში-დადებით 78 მ.

მსყიდველების თხოვნისამებრ ამ ფასად კირი შეიძლება გაიგზავნოს ვაგონებით ქ. ტფილისს, ბათუმს, ფოთს და ამიერ-კავკასიის რკინისგზის ყველა სტანციებზე. გადასატანი ფასი მსყიდველმა რკინის-გზის მაზანდის მიხედულობით უნდა გამოგზავნოს.

ბათუმში კირის გასყიდვის აგენტად არის ბ-ნი ნ. შადინოვი; იქვე არის კირის საწყობი. (12—1)

საქართველოს ეპარქიის სამზრუნველო გლახაკთათვის სასულიერო წოდებისა ამით აცხადებს, რომ საფასითა მისითა დაიბეჭდა და გამოიცა სამ-ნაწილოვანი წიგნი «სასწავლებელი კეთილ-მსახურებისა», თარგმნილი რუსულიდგან ქართულად აბხაზეთის დეკანოზის, დავით მაჭავარიანისაგან, სასარგებლო ობოლთა და ქვრივთა, სასულიერო წოდებისათა, და ისყიდება ერთად სამი ნაწილი ცხრამეტ შაურად და ერთ კაპეიკად. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ამავე სამზრუნველოს მდივანს, ბ-ნ ჩიტაძეს, სადაგს დღეებში დილით ცხრა საათიდგან, პირველ საათამდინ. სადგურსა შინა სინოდალნის კანტორისა.

წევრი სამზრუნველოისა
არხიმანდრიტი მაკარი
(3—1)

Двоиной волшебный Фонарь для туманныхъ картинъ освѣщаетъ керосиномъ и друмундовымъ свѣтомъ. Также разныя оптическія и инженерныя вещи и терескопъ.

Адресъ: Чугуреты, Панасѣевская улица, домъ Таріелова.
1—1

ქალაქის გამგეობა

მოიწვევს მათ, ვისაც ჰსურსთ, ქალაქის წყლის-გაყვანისთვის საჭირო მიწის სამუშავო ნარდად აიღონ, მობძანდნენ გამგეობის სადგურში მომავალის თთვის თებერვლის 7-ს, დილის 12 საათზე. პირობების შეტყობა შეიძლება ყოველ-დღე გამგეობაში, დილის 10 საათიდგან, შუა დღის 2 საათამდე. (3—1

въ городѣ карсѣ.

ВЪ КАНЦЕЛЯРІИ ВОЕННАГО ГУБЕРНАТОРА

Карской Области

ОТКРЫТА ПОДПИСКА

НА ГАЗЕТУ

„КАРСЪ"

на будущій 1886 годъ

газета «КАРСЪ» въ 1886 году будетъ издаваться на тѣхъ-же основаніяхъ, какъ и въ текущемъ году. по тойже программѣ и подъ тою-же редакціею.

условія подписки

съ доставкою и пересылкою въ годъ три рубля, въ четыре мѣсяца одинъ рубль.

Подписка принимается въ Канцеляріи Военнаго Губернатора, куда адресуютъ свои требованія и иногородные.

Газета «КАРСЪ» имѣетъ ближайшею цѣлью всестороннее изученіе Карсской Области и распространеніе въ обществѣ вѣрныхъ и точныхъ свѣдѣній, какъ о нынѣшнемъ ея состояніи, такъ и о мѣропріятіяхъ, направленныхъ къ ея благоустройству. Цѣль эта можетъ быть достигнута въ той мѣрѣ, въ какой лица, имѣющія, по своему положенію, возможность собирать свѣдѣнія по тѣмъ или другимъ вопросамъ, касающимся Области, ея населенія и расположенныхъ въ ея предѣлахъ частей войскъ, выразятъ свое сочувствіе газетѣ и пожелаютъ оказать ея редакціи просвѣщенное свое содѣйствіе сообщеніемъ имѣющихся въ рукахъ свѣдѣній и матеріаловъ, а потому редакція убѣдительно проситъ этихъ лицъ не отказать ей въ своемъ участіи.

Дозволено цензурою Тифлисъ 23 января 1886 года. ქართულ ი. ხელმძღ. სტამბა სამართ. ქუჩაზე, საკუთარ სახლში. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.